დანართი

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს დებულება

მუხლი 1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში საბჭო) არის შუახევის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში მერი) სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებითა და საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

2. საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 10 წევრით. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის 1/3-ზე ნაკლები.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი

1. საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

2. საბჭო მერის წარდგინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ინფრასტრუქტურულ და სოციალური პროექტებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები საბჭოს წარედგინება წერილობით მერის მიერ მისი საკრებულოში წარდგენამდე 15 დღით ადრე მაინც.

4. საბჭო განსახილველად წარდგენილ დოკუმენტებს განიხილავს და თავის გადაწყვეტილებას მერს წარუდგენს მიღებიდან 7 დღის ვადაში.

5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

6. საბჭოს სხდომებს იწვევს, ორგანიზებას უწევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე.

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

9. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვეაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომრის ხმა.

10. საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს სხდომის ოქმს.

11. საბჭოს ყველა წევრი უფლებამოსილია სხდომის ოქმს დაურთოს თავისი განსხვავებული მოსაზრება, რომელიც აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას ოქმში.

12. საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მერს წინადადებები და მოსაზრებები წარუდგინოს საკუთარი ინიციატივითაც.

13. საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვეყნებს ან/და საჯაროდ აცხადებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერია.

14. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 2. საბჭოს ხელმძღვანელობა

1. საბჭოს პირველ სხდომას უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი.

2. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც 1 წლის ვადით, თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს საბჭო. კენჭისყრა ტარდება დახურულად, თუკი მოთხოვნა იქნება არანაკლებ 3 წევრისა.

3. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს 3 წევრს.

4. საბჭოს თავმჯდომარე არჩეულად ითვლება, თუკი წარდგენილ კანდიდატს მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

5. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ორგანიზებას უწევს და უძღვება საბჭოს სხდომებს, აფორმებს სხდომის ოქმს.

ბ) წარადგენს საბჭოს მერთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 3. საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობას ხელს უწყობს და ორგანიზებაში დახმარებას უწევს შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით გამოყოფს სხდომის ჩატარების ადგილს, უზრუნველყოფს ტექნიკითა და საკანცელარიო მასალებით.

მუხლი 4. სხვა დებულებანი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მერის ბრძანებით.